ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერია

KA000046609150220

*5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1 ტელ: 5(99) 856 577 ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 707-ს

10 / აგვისტო / 2020 წ.

ბრძანება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია და შიდა კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52–ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების, 35-ე მუხლის, 37-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და 126^1 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. გამოცხადდეს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია და შიდა კონკურსი, დანართის თანახმად.
2. კონკურსი გამოცხადდეს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.
3. შეიქმნას ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დაკავების მიზნით კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად საკონკურსო კომისია.
4. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ზაზა ხორავა.
5. კომისიის თავმჯდომარემ უზრუნველყოს ღია და შიდა კონკურსის ჩატარების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. #12).

მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დათო გოგუა

დანართი

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიაში კონკურსის წესით
დასაკავებელი თანამდებობები

N	თანამდებობის დასახელება	კონკურსის სახე	ვაკანსიის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგოს ოდენობა (ლარებში)
1	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, სტატისტიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი	ღია კონკურსი	1	1300
2	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი	შიდა კონკურსი	1	1300
3	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-შიდა აუდიტის განყოფილების უფროსი	შიდა კონკურსი	1	1300
4	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბავშვის დაცვის ინსპექტორი)	ღია კონკურსი	1	1100

5	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა და ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი)	ღია კონკურსი	1	1100
6	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მოქალაქეთა მომსახურების განყოფილების მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	ღია კონკურსი	1	850
7	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილების მეოთხე რანგის მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	ღია კონკურსი	1	800